



უკრაინაში ღანჩხ უთელი ჯაბუღათ ხოფერია დაიღუპა



ღაფერი წინ აქეთ... და მე როცა აღარ ვიქნები, ჩვენი საქმე, ჩვენი სამშობლოს მტრებისგან დახსნის საქმე, მისი ერთ-ერთი და სიძლიერის საქმე თქვენ გააგრძელო... მხედრობის საბრძოლო ფრთა ისევე ბრძოლაში...“ – წერს სოციალურ ქსელში ჯაბუღათის მამა **არჩილ ხოფერია**, რომელიც აფხაზეთის ომში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მამასთან და ძმასთან ერთად იბრძოდა, სადაც მამა – ჯაბუღათი დაიღუპა.

„ჩემი შვილი ჯაბუღათ ხოფერია აღესრულა უკრაინაში. ვფიქრობდი, დრომა რომელიც ჩვენ აღუძრით და მკურნალებთან ბრძოლაში, საიმედო ხელში იყო, მაგრამ უფაღამ ისევე მე დაძაბუნა...“

ჩვენ ვერ ვაგვებენ, ეს ჩვენი ხვედრია და ამ განსაცდელსაც ისე შევხვებით, როგორც ჩვენ ვგვადრება. მტრებს ვუ-

ფროსი ჯაბუღათი, 24-ე სადესანტო-სამშტურმო ჯგუფის მეთაური, 1993 წლის 15 აპრილს დაიღუპა ტყვედრეოთან, ლაშქარდერის მწვერვალზე. მამის იგი 25 წლის იყო. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

სწორედ მის სახელს ატარებდა უმცროსი ჯაბუღათი, რომელიც უკრაინელების მხარდამხარ იბრძოდა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია დიდ გულიანობას გამოთქვამს მოხსნადი ტრაგედიის გამო და თანაუგრძობს ჯაბუღათ ხოფერიას ოჯახს, ახლობლებს, სრულიად საქართველოს.



ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
 ყოველკვირეული გამოცემა. № 32 (10443) 6 დეკემბერი 2022 წ. შპსი 80 თეთრი.

ბრიგადები-მოხულები უმომლოთი გზის 5 კილომეტრიანი მოწაგებითი ფლის ბოლომდე გაიხსნება

ალიონი. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **ირაკლი ქარსელაძემ** და გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ**, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომარშრუტის შემადგენელი მონაკვეთის, გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოები მიიხსნა.

14.4 კილომეტრიანი მონაკვეთი მოიცავს 4 ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 22 სახიდე გადასასვლელის, 4 სატრანსპორტო კვანძის, წყალგამტარი მილების და მიწისქვეშა გასასვლელის მშენებლობას. წლის ბოლომდე დაგეგმილია აღნიშნული გზის 4 ზოლიანი 5 კილომეტრიანი

მონაკვეთის გახსნა. „აღნიშნული პროექტი საშუალებას მოგვცემს ტურისტული ზონების ვეგეტაციის აღდგენის მიზნით ვიშენებოთ ჩქაროსნული გზით უფრო მეტად კომფორტულად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც რეგიონის, ასევე, მთელი ქვეყნისთვის სატრანსპორტო გადაზიდვების და ტურისტულ ზონებში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული გზა, ასევე, მოგვცემს შესაძლებლობას ბევრად უფრო სწრაფად მივიღოთ გურიაში არსებულ ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან ტურისტულ ობიექტთან – ბლექ სი არენას საკონცერტო დარბაზთან“, – განაცხადა **გიორგი ურუშაძემ**.



ვაკიჯვარი – ახალი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტებით



ალიონი. მდინარე ნატანის ხეობის ზემო წელში, ზღვის დონიდან 400 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს გურიის ერთ-ერთი კოლორიტული სოფელი ვაკიჯვარი. თუკი გასული საუკუნის 30-იანი წლების ჩვენ გაზეთის ნომრებს გადახედოთ, ნახავთ, რომ ვაკიჯვარი მნიშვნელოვანი სამკურნალო კურორტი იყო რეგიონში და ზაფხულობით არაერთი სოფლის საბავშვო ბაღი ამოდიოდა აქ. განსნილი იყო მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკებიც. მას შემდეგ, რაც ბანაკებში სამსახური გზა გაიყვანეს, მან დაკარგა საგარეო მნიშვნელობა.

სოფლის ერთ-ერთი უბანა თავაკიჯვარი, რომელიც სოფლის ცენტრიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული და აქედან მდის საცალფეხო ბილიკი ბანაკისაკენ ქობულეთ-სომხეთის გავლით. იგი სამომავლო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული მარშრუტი იქნება რეგიონში.

ამჟამად ვაკიჯვარის თემში შედის ასევე ერთ-ერთი ისტორიული სოფელი ფამგალეთი, რომელიც ორ მდინარეს – ნატანსა და ბაზვისწყალს შორის მდებარეობს.

სოფელ ვაკიჯვარში მე-10 საუკუნეში აუგიათ ეკლესია. 2000 წელს ძველი ეკლესიის საძირკველზე ააშენეს ერთნაირი ზომის კედლები და საფუძვლიანი ჩუქურთმებიანი ქვები.

ვაკიჯვარის მნიშვნელობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა.

ისტორიული ცნობით, 1828 წელს, სოფელ ფამგალეთში იდგა ხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ამჟამად სოფლის ცენტრში დგას სამი დიდი წმინდანის – ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის და იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესია. ამ ეკლესიებში წირვა-ლოცვას მამა

ზაქარია (ინჟინერი) და მამა შალვა (გორგაძე) ალაღვიანენ.

გასული საუკუნის დასაწყისში (1908 წლის აღწერა) სოფელ ვაკიჯვარში 1011, ხოლო ფამგალეთში 1087 ადამიანი ცხოვრობდა. 2002 წელს შესაბამისად 844 და 632 ადამიანი. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა მიგრაციული პროცესი და 2014 წლის აღწერით ვაკიჯვარში 597, ხოლო ფამგალეთში 411 ადამიანი ცხოვრობდა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ვაკიჯვარის ტერიტორიულ ერთეულში **დავით ჩაღლეშვილმა** გვითხრა, რომ ამჟამად ვაკიჯვარის თემში 528 ოჯახი ირიცხება (ვაკიჯვარი 298, ფამგალეთი – 217 კომლი). სამწუხაროდ ნაწილი სახლების დაკეტულია, ხოლო ნაწილი ზაფხულობით თუ სტუმრობენ მუპატრონეები. ასეთი ოჯახების რიცხვი ორთავე სოფელში 110 აჭარბებს. სოფელში

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მიწის შეტენის მსურველები საკმაოდ დიდია. სოფელში წელს 5 ბავშვი დაიბადა. გარდაიცვალა 14 ადამიანი...

ინფრასტრუქტურა, პროექტები

სოფელში ბოლო წლებში რამდენიმე პროექტი განხორციელდა. მნიშვნელოვანი ვაკიჯვარისა და მიმდებარე სოფლების წყალმომარაგების პროექტი, (ვაკიჯვარი-ფამგალეთი - ბაზვი - ცხემლისხედი - უჩხუბი). თუმცა ვაკიჯვარისგან განსხვავებით წყალი სოფელ ფამგალეთის მოსახლეობას გრაფიკით მიეწოდება.

– წელიწადისხეობიანი მუშაობა ამ პროექტზე კომანა „უნჯერ-სალ ვორჯია 2008“ (ელდარ ჩიტბი). მათ აქვთ ვალდებულება, რომ ეს პროექტს მოაგვარონ – გვითხრა რწმუნებულის თანამშრომელმა **ვაკიჯვარმა**.

სოფელ ვაკიჯვარიდან 7 ოჯახი (გოგოტიშვილები, ასვლელიანები, კახაძეები) მდინარე ნატანის გადამსარეს ცხოვრობს.

– მდინარის გადამსარესი ვაკიჯვარის საგარეო სასაფრთხის მიხედვით, იქ მცხოვრებულის დასარდალად ჭრისუფალს დიდი გზა 6-7 კილომეტრი უნდა მოეწოდოს ვაკიჯვარი-ცხემლისხედი-უჩხუბის გავლით. ოზურგეთის წინა მერის დროს დაიწყო მდინარე ნატანზე 108 სიგრძის და 7,60 მეტრის სიგანის ხიდის მშენებლობა, რომელიც ამჟამად ვრთვდება. ეს ერთ-ერთი დიდი ხიდი იქნება მუნიციპალიტეტში – გვეუბნება **დავით ჩაღლეშვილი**.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:**
ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია „ალიონით“

ოთარ შამუგია გურიის მთლიანი ფერადი ტილის წარმოების მხარდაჭერის ახალი პროგრამა გააცნო



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია** გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ **გიორგი ურუშაძემ**, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ნინო წილოსანთან** და თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორ **გიორგი თოდუასთან** ერთად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში მთლიანი ფერადი ტილის წარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა გააცნო.

მელიც მიზნად ისახავს თხილის ბაზრის მესაკუთრეთა ხელშეწყობას ჩვეულების ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობას მოგვცემს, რომ გურიის რეგიონში მაქსიმალურად ბევრი წარმატებული ფერადი ტილი გვეყავდეს და შეიქმნას ისეთი პროდუქცია, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრებისთვის,“ - აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა. თხილის წარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.

ოთარ შამუგია თხილის გადაამუშავებელი საწარმოს საქმიანობას გაეცნო



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ოთარ შამუგიამ**, გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა **აფთხილი თალაკვაძემ** თხილის გადაამუშავებელი საწარმო შპს „გლობალ ექსპორტი“ დაათვალიერეს. კომპანია 2014 წელს ამოქმედდა, 2021 წელს საქმიანობა გააფართოვა და თანამედროვე დანადგარების

შესაძენად ისარგებლა 1,5 მლნ ლარის ღირებულების შეღავათიანი აგროკრედიტით. შპს „გლობალ ექსპორტი“ საქართველოში ამზადებს როგორც თხილის გულს, ასევე თხილის ფქვილსა და პასტას. პროდუქციის რეალიზაცია ევროპის ქვეყნებში ხორციელდება. საწარმოში დასაქმებულია 100-ზე მეტი ადგილობრივი.

მნიშვნელოვანი პროექტები სოფელ შრომაში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში და წვერმაღალაში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. წვერმაღალა - სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზის აღდგენა და განახლება; სოფელი შრომა - ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც მინიმუმ 60 ბავშვზე იქნება გათვლილი; სოფელი შრომა (ხრალიეთის უბანი) - წყლის ინფრასტრუქტურის მოწყობა 24-სათიანი წყალმომარაგე-

ბის უზრუნველსაყოფად საბუთების მიმდინარეობას, ოზურგეთის მერი **აფთხილი თალაკვაძე**, მოადგილე **სანა, გიორგი ლურჯუაძე** და **ლიბესთან** ერთად გაეცნო.



ოზურგეთის 2023 წლის საწყისი ბიუჯეტი 33 649 000 ლარით განისაზღვრება



ოზურგეთის 2023 წლის საწყისი ბიუჯეტი 33 649 000 ლარით განისაზღვრება - ამის შესახებ, ოზურგეთის მერმა, **აფთხილი თალაკვაძემ** მერიის სხდომაზე განაცხადა. „ვიზიონიდან მომავალზე ვართ ორიენტირებული და გვსურს კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ ოზურგეთისთვის, კანონმდებლობის თანახმად, უკვე დაიწყეთ მუშაობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტზე. პროექტის პირველი ვარიანტი უკვე განიხილა საკრებუ-

ლომ. 2023 წლისთვის საწყისი ბიუჯეტი 33 649 000 ლარით განისაზღვრება, რაც ამ წლის საწყის ბიუჯეტზე 6 მილიონი ლარით მეტია (27 414 000 ლარი). ეს შესაძლებლობას მოგვცემს გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი და დასაქმების პირობები ჩვენი მოქალაქეებისთვის, გავაუმჯობესოთ სოციალური დაცვის მექანიზმები და განვახორციელოთ ახალი პროექტები.“ - აღნიშნა აფთხილი თალაკვაძემ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საქმიანობის დღე აღინიშნა!



3 დეკემბერს, ოზურგეთის მერის მოადგილე **ნათია გოლიაძე**, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ესტუმრა და საჩუქრები გადასცა.

მერის მოადგილე მათ სოციალურ პრობლემებს ადგილზე გაეცნო და ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა.

ახალი საავტომობილო ხიდი ქვაბლა-ზოტის დამაკავშირებელ გზაზე

ქვაბლა-ზოტის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობის სამუშაოები უკვე დასრულებულია. ახალი ხიდის მშენებლობა ორი სოფლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. აქამდე არსებული ხიდი ძლიერ დაზიანებული იყო და არ ექვემდებარებოდა რეაბილიტაციას, ამიტომ გაკეთდა სრულიად ახალი 12-მეტრიანი ხიდი, რომელიც შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

მიმდინარე სამუშაოები ჩონხატაურის მერმა **დავით შარაშიძემ** მამულაძესთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად მოინახულა. პროექტი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მთავარი განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი სრული სახელმწიფო ღირებულება 281 000 ლარია.



პაპიჯვარი - ახალი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტებით



სოფლის პროგრამის ფარგლებში სოფელს 46 ათასი ლარი აქვს გამოყოფილი, რომელიც თანაბრად განაწილეს ორ სოფელზე. სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით 20 ათასი ლარი გაითვალისწინეს და ამ დღეებში დასრულდა 150 კვადრატული მეტრი სოფლის სასაფლაო ასასველებლის დაგების პირველი ეტაპი. რკინა-ბეტონის საფარი დაიგო სამამუშაოების, ინსტიტუტების, თხილამუშის, გოლიაძეების და თედორაძეების (ფამფალეთი) უბნებში.



სამამუშაო უბანში, სადაც 3 კომლი ცხოვრობს მია ნუსაძე-სამამუშაო კაფე-ოფისი გამოხატა უნის ასასველების რკინა-ბეტონის საფარის მოწყობის გამო. - ძალიან კარგია, რომ სოფლის პროგრამით რკინა-ბეტონი გზა მოაწყვეს გვეუბნებიან, რომ მომავალ წელს კიდევ დაგებენ გზას. - გვითხრა მია ნუსაძე-სამამუშაო.

-სოფელ ფამფალეთში თემის იმპროვიზირებული რეზიდენციის ვაი მდინარის ინიციატივით დაიწყო სკვერის მშენებლობა. სკვერის ტერიტორია გაიწმინდა სამშენებლო ნარჩენებისგან, შემოიღო და არტეზიული ჭა გაკეთდა. წელს კი ინტენსიურად ნინო ვასაძემ სკვერის გამოკეთების სამუშაოები შეასრულა დაიწყო

ფამფალეთი-ბასვის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რაც კიდევ უფრო მიმხიდვლის გახდის ამ სოფელს.

სახელმწიფო დახმარების პროგრამა

წელს სოფელში სახელმწიფო დახმარების პროგრამით 41 ადამიანი დასაქმდა. მათ შორის 4 გამგეობის შენიშობაში (დარაჯი, დამლაგებელი). სოფლის ამჟამინდელი სასაფლაო ბაღში და ა.შ.

- ვერ ვიტყვი დანარჩენები კონკრეტულად სასაფლაოზე ან სხვა ლოკაციაზე მხოლოდ დასაქმებული. ჩვენ მთ სოფლის საჭიროების მიხედვით ვაძლევთ კონკრეტულ დავალებას - გვითხრა მერის წარმომადგენელმა.

თავაკაცვარში, ვკართამაღლების ეკლესიის ეზოში მდებარე სასაფლაოზე მიხილ სამამუშაო მუშაობდა. იგი საცვლავი აპარატით ბაღას ცვლავდა.

-სოციალურად დაუცველები, ოჯახში 4 სული ვართ - მუდღეუ და 2 უმცროსი ასაკის ბავშვი. ახლა დამატებითი შემოსავლის წყარო გვაქვს. 300 ლარ ხელფასს ვღებულობთ ყოველთვიურად - გვითხრა მან.

სოფლის საბავშვო ბაღში სტუმრობისას სოციალური პროგრამით დასაქმებულ ნინო მასარაძეს ვესაუბრეთ.

-პროექტით ფარმაცევტი ვარ, სამი შვილის დედა და მეთხუთს ველოდები. ჩემი პროექტით სოფელში ვერ იმუშავებ. სოციალურად დაუცველები ვართ. მუდღეუ - დაეით მამლაძე მეტროსადგურის აღმრთელად დასაქმდა. მე აქ ვარ ბაღში, ჭურჭლის მრეცხავად - 300 ლარ ანაზღაურებას ვღებულობ - გვითხრა მან.

მამლაძე

სოფელ ვაკაცვარში, მდინარე ნაჭანებზე 9-მეტრეგანაი ჰესის მშენებლობის პროექტის განხილვებს 3 წლის წინ დაიბრუნებდა მოპყვა კომპანია „უნივერსალ ენერჯის“ წარმომადგენლებსა და სოფლის მოსახლეობას შორის. იყო შიდა დაიბრუნებდა. ჰესების კასკადის მშენებლობის წინააღმდეგი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

ამ პროცესს აქტიურად აშუქებდა რეგიონის მედიასაშუალებები. ვასსოვს, მაშინ მერის წარმომადგენელმა ამ სოფელში გიორგი მდინარაძემ განაცხადა, რომ მოსახლეობის შორის ურთიერთობის დამაბეჭ არც ერთი პროექტი არ ღირს.

მიზობდნენ, რომ ჰესის აგების შემთხვევაში პრობლემები შეეწყნებოდა კომპანია „ნიკორას“ შევიდოდა ვაკაცვარის საკლამზე მუშაობას, სადაც 7 ჰექტარზე 60-მდე მოქმედი აუზია. მუშაობა წლოურად 250 ტონა კალმისს და 3 ტონა ხიზილალას აწარმოებს. აქ 40 ადამიანი დასაქმებული. ამჟამად ჰესის მშენებლობის თემა გაჩერებულია.

სოფელში ყოფნისას აქ „მუნიცი-



პალური ინსპექციის“ წარმომადგენლები სოფლის ბოლოში მცხოვრები გუგული სამამუშაოლის განცხადების საფუძველზე მივიდნენ. იგი ეკლესიის ეზოს გვერდით ცხოვრობს და ძალიან დიდი სიმაღლის კრიპტომერიის ხის მოჭრას ითხოვს.

- ძალიან დიდი ხეა. თავის დროზე ჩემს მუდღეუ არ მოგვცა ამ ხის მოჭრის უფლება. შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა სიმაღლეში. აქ არც თუ იშვიათია ზამთარში დიდი თოვლი. ძლიერ ქარშიც საშიშაა. რომ წაიქცეს ან ჩემს საცხოვრებელ სახლს, ან ეკლესიის სამრეკლოს დაზიანებს...

„მუნიციპალური ინსპექციის“ წარმომადგენლებმა უთხრეს, რომ ვანსალი ხის მოჭრის უფლებას ვერ გაცემდნენ, თუმცა არსებული პრობლემის გათვალისწინებით ამ თემაზე ომსავლდება.

საბავშვო ბაღი

სოფელს ერთგუგუფიანი ბაღი ემსახურება (გამგე სოფო რუსიშვილი). სადაც ვაკაცვარში 27 ბავშვი ირიცხება. მათი აღზრდისთვის სოფო გოგრიჭიანი და თამარ ინსტიტუტის არიან. მათი თქმით, სხვადასხვა ვირუსის გავრცელების შიშით მშობლების ნაწილი ბავშვები ბაღში ხშირად არ მოპყაფთ. ყოველდღიურად ბაღში საშუალოდ 15 ბავშვი დადის.

- საუკეთესო კვება აქვს ბავშვებს. ხორციანი კერები, ბურღულეული,

ყოველკვირულად კვების რაციონში დამატებული ორავული და ბანანი - გვითხრა სტაჟიანმა მხარეულმა ციციანი მდინარაძე.

ბაღში გამართული აქტივობების შესახებ გვითხრეს, ბავშვის გაერთიანების ყურადღებასა და მეთოდურ დახმარებებზე.

ელექტრონული პიანინო ბავშვის გაერთიანებას შეუქმნა მათთვის და ბავშვებს სიმღერის გაკვეთილებს ლისაურელი ლელა ცეცხლაძე უტარებს.

ვაკაცვარელები მთისპირა-ფამფალეთის ასფალტირებულ გზაზე ავტომანქანების გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობას და აქედან გამომდინარე საშიშროებებზე საუბრობენ.

- დაწოლილი პოლიციელის მოწყობაზე უარს ამბობენ, სიჩქარის შემზღვევა ნიშნები და პერიოდულად საგზაო პატრულის რეიდების მოწყობა საჭირო - ამბობს ხელაძე ისინი პრობლემის მოგვარების გამოსავალს.

- ჩვენ გუნდური პრინციპით ვმუშაობთ. ჩვენ, მაგორიტიანი დებუტატი ბანანა ნიკორაძე, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ერთი გუნდი ვართ. ისინი ხშირად ამოიდან სოფელში, ყველა პრობლემის შესახებ ვაწვდილი ინფორმაციას. ისინი აქაც ამოიდან - გვითხრა მერის წარმომადგენელმა დავით ჩაღვლეშვილი.



უცხოელი დონორები საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ დახმარებენ

საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“ მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებს საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიციხისთვის“ ასევე, ამერიკულ ორგანიზაციასთან „LDS Charities“. ცენტრს მათთან ერთად, არაერთი პროექტი აქვს განხორციელებული.

ამჟამად, მათი მხარდაჭერით, საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“, პროექტ „ბავშვთა განმავითარებელი ცენტრის აღჭურვა“-ფარგლებში, საჭირო ინვენტარი გადაეცა.

პროექტის ფარგლებში ცენტრში შეიძინა, ეზოში დასადგმელი კონსტრუქციები, ეტლით მოსარგებლე ბენეფიციარებისთვის ადაპტირებული საქანგლა, ადრეული განვითარების პროგრამით მოსარგებლე ბავშვებისთვის კი, სასრიალო და მათი უზარების განვითარებისთვის უმომენტულოვანესი სათამაშოები. ასევე,



კარადები და სხვა დამხმარე ავეჯი. აღნიშნული ინვენტარი, ფონდის ამერიკელმა სტუმრებმა ბავშვებთან ერთად ააწვეს.

-„ჩვენ საქართველოში ჰუმანიტარული მისიით ვახორციელებთ რამდენიმე პროექტს, მათ შორის ვენმარებით განვითარების შეფერვების ან ამ მხრივ

ჩონატაურმა ეპროკავშირის ბრანტი მოიკოვა



მერამ, თანაპლიკანტ ორგანიზაციებთან, ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“ და „პოლინიის სოლიდარობის ფონდი საქართველოში“ (SFPL) ერთად, გაიმარჯვა „ადამიანის უფლებების დემოკრატიისა და ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ვედილი ვეროკომისის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში პროექტით „ჩონატაური მდგრადი

ენერგეტიკული მომავლისკენ“. პროექტის მიზანია ჩონატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, საცხოვრებელი და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისთვის ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება და განახლებადი ენერჯის მოხმარების წამახალისებელი პოლიტიკის გატარება მთავრობის, ბიზნესის და არასამთავრობო სექტორთა ჩართულობით.

„ბასვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ სოციალური პროექტი ჩხაკაურას საჯარო სკოლაში



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, კურორტ ბახმაროს გზაზე ულამაზესი სოფელი ჩხაკაურა გვხვდება. უნიკალურ მაღალმთიან ზონაში განლაგებული სოფელი სულ რაღაც 40-მდე ოჯახს მოიცავს.

დაწყებას, ჩხაკაურა განსაკუთრებით პოზიტიურად შეხვდა, რადგან სოფელში აშენდა თანამედროვე სტანდარტების სკოლა, სადაც დღესდღეობით 28 მოსწავლე ირიცხება. თითოეული მოსწავლისთვის, მნიშვნელოვანია განათლების შესაფერის

გარემოში მიღება. მიმდინარე სასწავლო წლის სწავლების პროცესს, ჩხაკაურას სკოლა ახალი კომპიუტერებით გააგრძელებს. სამი უახლესი კომპიუტერი, რომელიც კომპანია „ბასვი ჰესმა“ განახლებული სკოლისთვის შეიძინა, უკვე ახარებს მოსწავლეებს და ეხმარება მეტი ინფორმაციის მოძიებასა და მიღებაში.

– „ჩვენ ვაგრძობთ ბასვი ჰესის სოციალური პროგრამის განათლების კომპონენტის შესრულებას. წელს ჩხაკაურას საჯარო სკოლაზეც გავრცელდა ჩვენი ის პროგრამები, რომელსაც მთისპირში ვახორციელებთ 2021 – 2022 სასწავლო წლიდან. ჩხაკაურას სკოლა ჩართო ჩვენს ტრენინგ პროგრამაში, რაც გულისხმობს უფროსკლასელების ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვით და განახლებადი ენერჯების მიმართულებით. ასევე, პროფესიულ ორიენტაციას იმ ეტაპზე, როცა მოსწავლე გადაწყვეტილებას იღებს, თუ როგორ დაეკავოს მომავალი. ჩვენ სკოლა უზრუნველყავით კომპიუტერებითაც. ძალიან გვახარებს ფაქტი, რომ ჩხაკაურის სკოლის მოსწავლეებს და მოსწავლეებს ექნებათ საშუალება საჯაროებში პროცესში გამოიყენონ კომპიუტერები და ამით უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდონ სწავლის პროცესი“ – განაცხადა „ბასვი ჰესის“ გარემოსდაცვისა და სოციალური პროექტების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ**.

– „სასწავლო წელს სკოლის ახალ შენობაში შევხვდით, სკოლაში გვაქვს თანამედროვე კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც საჭიროებად კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას. ამიერიდან, უკვე გვაქვს სამი ერთეული პერსონალური კომპიუტერი და ასევე საჯარო აქსესუარები, როგორცაა ყურსასმენები თუ ხმის გამამდიერებლები. ამ სახელმედი სიხარული გამოიწვია

მოსწავლეებში, მათ უკვე გამოთქვეს სურვილი დაეუფლონ თანამედროვე კომპიუტერულ პროგრამებს. უკვე ერთი წელია აქტიურად ვთანამშრომლობთ ბასვი ჰესთან. ამ დროის განმავლობაში არაერთხელ ჩატარდა შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან. ახალი სასწავლო წლიდან დაიწყო სასწავლო-სავალდებულო ტრენინგები მოსწავლეთათვის, რაც ხელს შეუწყობს მათი ცნობიერების ამაღლებას.“ – განაცხადა ჩხაკაურას სკოლის დირექტორმა, **ალა მარმა**.

„ბასვი ჰესი“, გარემოს დაცვისა და სოციალური პროგრამების ფარგლებში ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს ოზურგეთში, კერძოდ, მთისპირის საჯარო სკოლის და ჩოხატაურში, ჩხაკაურას სკოლის მოსწავლეებისთვის.

დავინანსებელი ფართი

სიმღერა სისონა დარჩიაზე

პროფესორ იური სიხარულიძეს (1926-2022) ძალიან უყვარდა ოზურგეთი. ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმსაც ხშირად სტუმრობდა, ბევრ ოჯახთან მეგობრობდა. მისი სტუმრობა ერთი ზეიმი იყო. საღამოხანს ბევრ საინტერესო ამბებს გვიყვებოდა, ზოგს ვიწერდი, ზოგსაც ვიმახსოვრებდი. ერთხელ სისონა დარჩიაზე მოგვითხრო: „ქართულ სამუსიკო ფოლკლორში ყველაზე უფრო საინტერესო ისტორია სისონა დარჩიას არგუნა ბედმა. მისი ხალხური ლექსი ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის დროს იქცა სიმღერად.

მაშინ ეს ლექსი იმ მელიქოდას მიუსადაგეს, რომლითაც რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 მის წლებიდან მოკიდებული ალი-ფაშა თავდგირიძის ლექსი იმღერებოდა.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ სისონასადმი ყურადღება მინელდა და ისევ „ალიფაშა“ აღორძინდა. საფიქრებელი იყო, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მესვეურები მიუხედავად „სისონას“ მოწონებებისა,

კვლად დაუბრუნებდნენ ადრინდელ ბრწყინვალე ბას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, პირიქით, პროფესორმა აკაკი შანიძემ საქართველოს მთავრობის პირის პირში „ალიფაშას“ ხმას შეუწყო. აბა მაშინ ვინ იფიქრებდა თუ „სისონას“ დრო მალე დადგებოდა.

1932 წლის აგვისტო იდგა. ი. სტალინი თავისი ამალით ცხუმს(სოხუმი) ბრძანდებოდა. აფხაზეთის მამინდელმა ხელმძღვანელობამ (ლაკობა, ლადარია), მას საზეიმო სადილი გაუმართეს და ავტონომიური რესპუბლიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიც (დარიფორი პლტონ ფანცულაია) წარუდგინეს.

იოსებ სტალინმა ამ ანსამბლის გურულ ფრთას (ლოტბარი ვახტანგ სიხარულიძე) ჯერ „ხასანბეგურა“ შეუკვეთა სასიმღეროდ, ხოლო შემდეგ „სისონაი“.

ბელადს ორივე სიმღერის შესრულება მოეწონა და მომღერლებს (გარსევან სიხარულიძე – ბანი, ვახტანგ სიხარულიძე – წყება, კაკიბონ

ჩხიკვაძე – „კრიმანჭული“) ოსტატობაც შეუქო. ამის შემდეგ „სისონა“ სხვა ანსამბლებშიც დაიკვიდრდა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ „სისონას“ ისევ გაქრობის საფრთხე დაემუქრა. ეს კარგად გაითვალისწინა საქართველოს სახალხო არტისტმა მიხეილ შავიშვილმა და „სისონას“ არა მარტო სხვა მელიქოდა შეურჩია, არამედ სასიმღერო ლექსიც საგრძნობლად გაამშვენებია.

ასე გაბრწყინებულ სიმღერას რაღა დაუდგებოდა წინ და კარგა ხანია „სისონაც“ მრავალი ანსამბლის რეპერტუარს ამშვენებს (ლოტბარ ტრისტან სიხარულიძის ვაჟთა გუნდი, კომპოზიტორ გომარ სიხარულიძის გოგონების „შვიდკაცა“ და სხვა).

ეს გახლავთ ერთი საღამოს ჩანაწერი, **მანანა ლომაძე**, ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების განყოფილების გამგე.



სისონა დარჩია (მარჯვნივ) ნიკოლოზ მეზულასთან ერთად

„ჯვარიმინდორობის“ დღესასწაულიდან „შუახევიობამდე“



კომპანების განსნა ჯვარიმინდორობე

ალიონი. 28 ნოემბერს, შუახევის მუნიციპალიტეტის დღესასწაული „შუახევიობა“ გაიმართა, რომელსაც 4 ათეული წლის წინ დაწესდა, ტრადიციად იქცა და წელსაც საინტერესოდ აღნიშნეს.

შუახევის მუნიციპალიტეტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის უშუალო მეზობელია, ე.წ. აღმინის-ტრაციული საზღვარი აჭარა-გურიის მთებში გადის. დაბა გომისმთის

განვითარების პროექტში შუახევიობის სეიტანეს თავიანთი წვლილი და რამდენიმე წლის წინ შუახევიდან მოხდა ელექტროსახლების გაყვანა და გომისმთისათვის ელექტროენერჯის მიწოდება.

ზღვის დონიდან 2 000 მეტრზე, თავიანთის მთის მდამებზე, აგვისტოს ბოლოს სახალხო დღესასწაული „ჯვარიმინდორობა“ იმართება, რომელშიც შუახევილების გარდა ოზურგეთელებიც იღებენ მონაწილეობას. ამ

ფესტივალის უცვლელი მონაწილეა ოზურგეთის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „**იალინი**“ და ოზურგეთელთა მცირე დელეგაცია წელსაც ესწრებოდა ამ ფესტივალს. რაც მისასალმებელია „ჯვარიმინდორობას“ სხვა სტუმრებთან ერთად აჭარის ხელისუფლების პირველი პირები ესწრებან. წელს მათ ტურისტული თავშესაფრები და საპიკნიკე ზონა მოაწვევს. მოსასვენებელი სივრცეები, თანამედროვე კომპანები აჭარა-გურიის რეგიონში ყველაზე გრძელ ქობულეთი - გომისმთა - შუახევის დამაკავშირებელ, სალაშქრო-ს ათავადასავლო ტურისტულ მარშრუტზე მდებარეობს.

ორივე სიტყვით „ჯვარიმინდორობის“ ისტორიის შესახებ:

1740 წლამდე ჭვანას ხეობაში 15-მდე მართლმადიდებლური ტაძარი იყო. 20 წლის მანძილზე დამპყრობლებმა ყველა ტაძარი დაშლეს და დაწვეს, არც კერჯანაულზე არსებული ქათამიძეების ტაძარი დაინდეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი წინამძღვარი ზაქარია ქათამიძე დახმარებისთვის ახალციხის ფაშას ეახლა, თანადგომა ვერ მიიღო, ჭვანაში დაბრუნებულ დევისმსახურს

სამლოცველო განადგურებული დახვდა. გაუტყველ ჭვანელებს ეკლესიის ჯვარი, ხატები, ზარი და სხვა სიწმინდეები გადაემაღათ.

ნაწამებ მღვდელს და მრევლს აქ დაბრძანებული ჯვარისა და სხვა სიწმინდეებისათვის მაშინ მიუძღროთავათ: „ჯვარი მიდინარ, ჯვარი დაგვიბრუნდება!“ სიწმინდეები შემოქმედის ეპარქიის ტაძრებში დააბრძანეს. თითქმის სამ საუკუნოვანი შენახვის შემდეგ, 2013 წლის მარტო-ამოზაზე ჯვარი სოფელ ჭვალაში მშენებარე ტაძარში გადააბრძანეს.

წელს „შუახევიობა“ დაბა შუახევის ცენტრში ხარაჩობ ახლადჩამოსხნილი ტაძრისა და მუნიციპალიტეტის წინა ტერიტორიაზე გაიმართეს.

„შუახევიობის“ დღესასწაულის წინ, აჭარის მთავრობის მიერ მიზნობრივი ორი მილიონი ლარით შუახევიში ფიფას სტანდარტების შესაბამისი არენა გახსნეს.

სტადიონი 500 მაყურებელს იტევს, დაგებულია ფიფას მიერ სერთიფიცირებული ხელოვნური საფარი. სტადიონს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი განათება, გასაზღვრები და შხაპები. აქ შესაძლებელია ქვეყნის წამყვანმა კლუბებ-

მა ფეხბურთში მოსამზადებელი ვარჯიშები გაიაროს.

სტადიონი საზეიმოდ გახსნეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიფიკაძემ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა და შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

მაღალმთიანი აჭარის ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები წარმოადგინეს უზუცესთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფესვები“, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა „ჭვანა“, „ზე კართან“, „მარეთი“, „შუახევი“, „ოთლოთა“.

ზეიმზე თორნიკე რიფიკაძემ განაცხადა: – „ ერთი წლის წინ ყველამ მოვიხლოეთ , რომ შუახევის ჭკონოდა თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სპორტული არენა. ეს უკვე რეალობად იქცა. დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთის მოედანი ხელს შეუწყობს სპორტსმენების მომზადებას. ჩვენი მთავარი ამოცანაა ჯანსაღი ცხოვრების წესით ვიცხოვროთ. ასე შთამბეჭდავი გამოდგა „შუახევიობის“ დღესასწაული, რომელიც კულტურის და ხელოვნების, ადამიანების ერთმანეთის დემონსტრირება იყო.“

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრმა წლის თეატრალურ ნამუშევრების სამ ნომინაციაში გაიმარჯვა



ალიონი. ა(ა)იპ შემოქმედებითი კავშირი-საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიური პრემიის-, თეატრალური სეზონის საუკეთესო ნამუშევრები – 2021-2022წწ სხვადასხვა ნომინაციაში დასახელდა, მათგან სამი ნომინაცია ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის გახდა.

ესენია: თეატრალური სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალი (არა უმეტეს 30 წლის ასაკისა) – **ციცი ბუცხრიკიძე** დ. თავაძის „დედაომი“ რეჟ. საბა ასლამაზიშვილი,

მეორე-თეატრალური სეზონის საუკეთესო სცენოგრაფიული ნამუშევარი გახდა – **ნიკოლოზ საბაშვილის „რესპუბლიკა გურია“** ოზურგეთის თეატრის სპექტაკლი და მესამე- თეატრალური სეზონის საუკეთესო რეცენზია, ნაშრომი – **მაკა ვასაძის** რეცენზია ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლზე დ. თავაძის, „დედაომი“, რეჟ. საბა ასლამაზიშვილი.

ნინო წილოსანი - მეთხილე ფერმერებისთვის უპრეცედენტო პროგრამა დაიწყო



მეთხილე ფერმერებისთვის უპრეცედენტო პროგრამა დაიწყო, ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა, გურიაში, სოფელ აკეთში მეთხილე ფერმერთან შეხვედრაზე განაცხადა.

როგორც ნინო წილოსანმა აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ დაწყებული ახალი პროგრამა გურიაში თხილის წარმოების პოტენციალის ათვისებას კიდევ უფრო გაზრდის.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრი ოთარ შამუგია და პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი ადგილობრივ მეთხილე ფერმერებს შეხვდნენ და თხილის წარმოების მხარდაჭერის ახალი პროგრამის დეტალები გააცნეს.

„ნამდვილად უპრეცედენტოა პროექტი, რომელშიც წამყვანი წვლილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ოთარ შამუგიას მიუძღვის. მისი მონღომებით და ჩვენი ხელისუფლების ინიციატივით დაიწყო ეს პროგრამა. ჩვენ გურიაში აუცილებლად უნდა გავააქტიუროთ ის პოტენციალი, რომელიც გვაქვს. თხილი არის ერთ-ერთი საკვანძო აგრო პროდუქტი, რომელიც, როგორც თითოეული თქვენგანისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან თხილის ექსპორტის 70% ევროკავშირში შედის. ეს კი, მნიშვნელოვანია ჩვენი ბაზრების დივერსიფიკაციისთვის. თხილის სექტორი არის ერთ-ერთი წარმატებული სექტორი სოფლის მეურნეობაში. წახალისება ფერმერებს მისცემს საშუალებას, რომ გააუმჯობესონ ხარისხი და მსოფლიო ბაზარზე უკეთესი პოზიციონირება განახორციელონ“, - განაცხადა ნინო წილოსანმა.

კიდევ ერთი წარმატება აღმოსავლური ორთაბრძოლიდან!

25 – 26 ნოემბერს თბილისის QSI საერთაშორისო სკოლაში გოჯუ – რიუ კარატე დიდი საქართველოს თასი გაიმართა.

სპორტულ ღონისძიებაზე იასპარეზეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ – გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ტაეკვანდოს სექციის, ოზურგეთისა და ურეკის სპორტსმენებმა და საკეთესო შედეგი აჩვენეს.

ოქრო
დანიელ ზუციშვილი 21 კგ. 6 წლის (ოზურგეთი);
ლუკა ჩხვიმიანი 47 კგ. 14 წლის (ურეკი).

ვერცხლი
ნათია ტულუში 30 კგ 9 წლის (ოზურგეთი);
თაზო თუთაშვილი 35 კგ. 11 წლის (ურეკი);
ცოტნე სირაძე 47კგ 13 წლის (ოზურგეთი).

ბრინჯაო
ბეჟან საყვარელიძე 47 კგ 13 წლის (ურეკი);
ლუკა ჩუბინიძე 45 კგ 14 წლის (ურეკი).

შეჯიბრი 6 წლიდან 18 და +18 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში გაიმართა და ჯამში 320 ახალგაზრდამ იასპარეზა.

საქართველოს თასზე ასპარეზობისთვის ოზურგეთელი სპორტსმენები **ირაკლი ტულუში** და **გიორგი ბერიძემ** მონაწილეობა მიიღეს.



თმის შიქტა, დაჯატცხნა, შილღუჯა, კრტაწინით დასწმრტება, თმის დასფეჯა, თმმტყ, მელიტრტება; მაჯიააქი, ქტბმის კტრტყცია; მანიკიოტი, პიდიკიოტი, შილაკი; ყუტის გახჯტყცა; ცვილით ეპილაცია;

მის. ქ. ოზურგეთი, აკ. წულაძის ქ.№6 (ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია)



<p>მზე, ღრუბელი +8+13</p> <p>6 დეკემბერი სამშაბათი</p>	<p>მზე, ღრუბელი +10+16</p> <p>7 დეკემბერი ოთხშაბათი</p>	<p>მზე, ღრუბელი +8+16</p> <p>8 დეკემბერი ხუთშაბათი</p>	<p>მზე, +10+17</p> <p>9 დეკემბერი პარასკევი</p>	<p>წვიმა +7+15</p> <p>10 დეკემბერი შაბათი</p>	<p>წვიმა +6+12</p> <p>11 დეკემბერი კვირა</p>	<p>წვიმა +7+16</p> <p>12 დეკემბერი ორშაბათი</p>
--	---	--	---	---	--	---